გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

2021 წლის საუკეთესო პრაქტიკის პროგრამაში მონაწილეობაზე

სენაკისმუნიციპალიტეტი

1. **პრაქტიკის/ინიციატივის სათაური:**„ ვიზრუნოთ ჩვენს უფროს თაობაზე“

2. **თემატიკა:** სოციალური

3. **პრაქტიკის/ინიციატივის ავტორი/ინიციატორი:**სენაკის მუნიციპალიტეტის მერია. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ინტეგრაციისა და განვითარების ასოციაცია „ჰანგი“

4. **მუნიციპალიტეტის ზოგადი მონაცემები:** სენაკის მუნიციპალიტეტი მდებარეობს დასავლეთ საქართველოში, სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში, კოლხეთის დაბლობზე. სენაკის მუნიციპალიტეტში 39,3 ათასი ადამიანი ცხოვრობს ქალაქსა და 63 სოფელში. სენაკი ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობით გამოირჩევა. მას სამეგრელოს რეგიონში ცენტრალური მდებარეობა უჭირავს და აკავშირებს რამდენიმე მუნიციპალიტეტს ერთმანეთთან. ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე სენაკს კვეთს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის რამდენიმე საავტომობილო გზა. სენაკი არის თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო მაგისტრალის ერთ-ერთი მთავარი პუნქტი. ქვეყნის მთავარ საგზაო მაგისტრალთან სენაკი აკავშირებს ქალაქ ფოთს, ჩხოროწყუს და მარტვილის მუნიციპალიტეტებს. ამავდროულად, სენაკი წარმოადგენს ფოთი-თბილისი, ზუგდიდი-თბილისი სარკინიგზო ხაზის შემაერთებელ კვანძს.

   ფართობი - 520,7 კვ.კმ

   მანძილი თბილისამდე - 270 კმ

   მანძილი ზუგდიდამდე - 45 კმ

   უახლოესი პორტი, ქალაქი ფოთი - 35 კმ

   უახლოესი რკინიგზის სადგური - ქ. სენაკი

   უახლოესი აეროპორტი - კოპიტნარი - 42 კმ

5. **მუნიციპალიტეტის მახასიათებლები**:

(გარემოებები, რომლებიც გავლენას ახდენს მუნიციპალიტეტის საქმიანობაზე)

პროექტის „ვიზრუნოთ ჩვენს უფროს თაობაზე“ განხორციელება განაპირობა შემდეგმა ფაქტორებმა:

- მუნიციპალიტეტის სოციალური პოლიტიკის მიმართულებამ, რომელიც თანხვედრაშია საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიასთან, რომლის მიხედვითაც, საქართველოს მთავრობის პოლიტიკაა სოციალური დაცვის სისტემის შექმნით

უზრუნველყოს ადამიანთა ღირსეული ცხოვრებისა და შრომის პირობები, შეამციროს მოსახლეობის სიღარიბითა და **ხანდაზმულობით** გამოწვეული სოციალური რისკები.

- მარტოხელა ხანდაზმულთა ბინაზე მოვლა გამოწვეულია უნარების დაქვეითებით ბუნებრივი ასაკობრივი ცვლილებების გამო და შესაბამისად, პრაქტიკულად ნებისმიერი ადამიანი ხდება თავის დროზე ზრუნვის ობიექტი, რადგან ბინაზე მოვლის საჭიროების რისკი იზრდება ასაკის მატებასთან ერთად და თუ გავითვალისწინებთ რომ საქართველოს მოსახლეობის 19.9% ანუ 740 000 ათასზე მეტი ადამიანი არის 60 წელს ზემოთ და 3,1% ანუ 115 000-ზე მეტი 80 წელს არის გადაცილებული, სრულიად ნათელი ხდება, რომ შინმოვლის სერვისი სასიცოცხლოდ აუცილებელი საჭიროებაა საქართველოში. განსაკუთრებით რეგიონების ქალაქებში და სოფლებში. ამიტომაც მუნიციპალიტეტის პრიორიტეტი ხანდაზმულთათვის სერვისების დანერგვაა.
- საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა „სოციალური მუშაობის საქართველოს კანონი და აღნიშნული კანონის მიხედვით, მუნიციპალიტეტები საკუთარ სამოქმედო ტერიტორიაზე ატარებენ სოციალურ მუშაობას, შესაბამისად მუცნიციპალიტეტის ჯანმრთელობისა და სოციალურის დაცვის სამსახურს ჰყავს გადამზადებული და სერთიფიცირებული სოციალური მუშაკები, რომლებიც მუშაობენ ხანდაზმულთა და განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირების პრობლემებზე და მათ სოციალურ მხარდაჭერაზე მუშაობის გარკვეული გამოცდილება გააჩნია. ამ პროექტის დანერგვის აუცილებლობა გამოწვეულია ხანდაზმულთა საჭიროებიდან გამომდინარე, მათი ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.
- კორონავირუსის (COVID-19) პანდემია რთული გამოწვევაა და მნიშნელოვანი საფრთხეა მოსახლეობისათვის. ინფიცირებულთა რაოდენობამ და ვირუსის გავრცელების ფართო არეალმა ნეგატიური ეფექტი მოახდინა მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე. ოჯახების გარკვეული ნაწილი-განსაკუთრებით მარტო მცხოვრები, მარტოხელა ხანდაზმულები დადგა სოციალური კრიზისის და სიღარიბის წინაშე. ამ გამოწვევის დასაძლევად დღის წესრიგში დადგა ზემოთხსენებულ მოწყვლად ჯგუფებზე სერვისის მიწოდების აუცილებლობა.

6. პრაქტიკის/ინიციატივის მოკლე აღწერა:

სენაკის მუნიციპალიტეტის 15 ადმინისტრაციულ ერთეულში 45 მარტოხელა და მარტო მცხოვრები ხანდაზმული ირიცხებოდა, მათ შორის არიან სოციალურად დაუცველები, ონკოლოგიური ავადმყოფები, შშმ პირები, რომლებიც განსაკუთრებულ მოვლა-პატრონობას საჭიროებდნენ. უმეტესობა მათგანს არ შეუძლია გაიმზადოს და მიირთვას ცხელი საკვები, მოიწესრიგოს პირადი ჰიგიენა, დაიცვას საცხოვებელი ფართის სანიტარული ნორმები, სოფლის პირობებში მოაწესრიგოს ეზო, რათა თავიდან აიცილოს ქვეწარმავლებისა და მავნე მწერების

მომრავლება, რაც დამატებით საფრთხესუქმნის მათ ჯანმრთელობას. სჭირდებათ საყოფაცხოვრებო ტექნიკისა და ავეჯის მცირედი შეკეთება, რადგან არა აქვთ ახლით შეცვლის საშუალება. ხშირია შემთხვევები, როცა მათ საკარმიდამო ნაკვეთში შედის სოფლის საქონელი და ანადგურებს მრავალწლიან ნარგავებს, რადგან მათ არ შესწევთ ძალა შეაკეთონ ამორტიზირებული ღობის დაზიანებული ადგილები. ვერ იმარაგებენ და იმზადებენ შეშას ზამთრისთვის.

მნიშვნელოვანია ხანდაზმულთა მიმართ მზრუნველობა და მათი მხარდაჭერა სოციალური მუშაკის მიერ, რათა მარტოხელა ხანდაზმულებს ჰქონდეთ სრული ინფორმაცია მათთვის განკუთვნილ ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლებების მიერ შემუშავებული პროგრამებისა და სოციალური პოლიტიკის შესახებ, ჩართულნი იყვნენე ყველა მათთვის საჭირო პროგრამებში და თავი არ იგრძნონ საზოგადოებისგან გარიყულად. მარტოხელა და მარტო მცხოვრებ ხანდაზმულებს სჭირდებათ ფსიქოლოგიური და იურიდიული მომსახურება, ასევე საკვებით უზრუნველყოფა და სანიტარულ-ჰიგიენური პირობების გაუმჯობესება.

პროექტის პირველი სამი თვე განკუთვნილი იყო მოსამზადებელი სამუშაოებისათვის, რომელიც მოიცავდა სენაკის მერიის სოციალურ სამსახურთან ერთად ბენეფიციარების მოკვლევა-შესწავლას, მობილური ჯგუფის შერჩევას მძღოლის, დამლაგებლის, მეეზოვის და სოციალური მუშაკის შემადგენლობით და მათთან შრომითი ხელშეკრულებების გაფორმებას. ტრანსპორტის FORD TRANSIT შეძენა და მისი აღჭურვა, პროექტით დამტკიცებული სამუშაო საშუალებების შეძენა, კომისიურად კრიტერიუმების შესაბამისად ბენეფიციარების შერჩევა და ხელშეკრულების გაფორმება. მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ სამსახურთან ერთად განმახორციელებელმა ორგანიზაციამ შეიმუშავა ბენეფიციართა შეფასების კრიტერიუმები.

პროექტის კოორდინატორმა, სენაკის მერიის სოციალურ სამსახურთან ერთად განახორციელა 15 ადმინისტრაციულ ერთეულში მარტოხელა ხანდაზმულების მოკვლევა. პარალელურად მოხდა მობილური ჯგუფის წევრების შერჩევა, გაფორმდა მათთან ხელშეკრულებები. შევიძინეთ სატვირთო მიკროავტობუსი FORD TRANSIT . მოვახდინეთ მისი აღჭურვა, შევიძინეთ მობილური ჯგუფისთვის პროექტით გათვალისწინებული სამუშაო იარაღები, სარეცხი, სადეზინფექციო და ჰიგიენური საშუალებები. მობილურ ჯგუფს გავაცანით მათი ფუნქციები, მუშაობის პრინციპი.

სულ მოკვლეული იქნა 32 ხანდაზმული, რომელთაგანაც კომისიურად მოხდა 20 ბენეფიციარის შერჩევა (იხ. სხდომის ოქმი), რომლებსაც 2021 წლის იანვრიდან მიეწოდებათ მომსახურება.

მობილურმა ჯგუფმა სოციალურ მუშაკთან ერთად მოახდინა ყველა ბენეფიციარის შეფასება, შეადგინა მომსახურების ინდივიდუალური გეგმა ყოველი ბენეფიციარისათვის და ამ გეგმის მიხედვით მიეწოდებოდათ ბენეფიციარებს მომსახურება.

აღნიშნული მომსახურების მიწოდებას ხელს უშლიდა ის ფაქტი, რომ არ იყო დანერგილი მსგავსი მომსახურება, რადგან ამას სჭირდებოდა გამოცდილი განმახორციელებელი და ასევე დონორი, რომელიც თავისი სოციალური პროექტების მხარდაჭერის გამოცდილებით მხარს დაუჭერდა მომსახურების ჩაშვებას. ასეთი დონორი აღმოჩნდა „საქართველოს არბაითერ

სამარიტერ ბუნდი“, ხოლო განმახორციელებელი შშმ პირთა ინტეგრაციისა და განვითარების ასოციაცია „ჰანგი“.

პროექტის ფარგლებში მოხდა ბენეფიციართა შეფასება, ინდივიდუალური გეგმის შემუშავება, მობილური ჯგუფის გადამზადება და აღჭურვა. შედეგად ერთი წლის მანძილზე 22-მა ბენეფიციარმა მიიღო სრული მომსახურება, მოხდა მათი ნაწილის ჩართვა ადგილობრივ სოციალურ პროგრამებში. მონიტორინგის დროს აღნიშნავდნენ, რომ პროექტში ჩართულობის შემდეგ მათ თავი იგრძნეს ადამიანებად, შეუმსუბუქდათ ყოველდღიურობა და დაუბრუნდათ სიცოცხლის სურვილი.

7. განხორციელებულიპრაქტიკის/კონკრეტული ინიციატივის დეტალური აღწერა:

- **პროექტის შინაარსი;**

პროექტის მიზანი იყო სენაკის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მარტოხელა ხანდაზმულთათვის შინმომსახურების მიწოდება მისი შემდგომი დანერგვის პერსპექტივით, რომელიც გულისხმობს:

შინ მომსახურება - ჯგუფი შემუშავებული გრაფიკის მიხედვით ეწვევა ბენეფიციარებს და გაუწევს შენდეგი სახის მომსახურებას:.

მძღოლი - ახდენს მობილური ჯგუფის ტრანსპორტირებას ბენეფიციარებთან, ტრანსპორტის გამართულად მუშაობას. საჭიროების შემთხვევაში შეაკეთებენ საოჯახო ინვენტარს, ელექტრომო წყობილობებს, ავეჯს, ელექტრო გაყვანილობას, ეხმარება ჯგუფის სხვა წევრებს.

სოციალური მუშაკი - ბენეფიციარს დაეხმარება სხვადასხვა სოციალურ პროგრამებში ჩართვაში, დოკუმენტაციის მოწესრიგებაში. საჭიროების შემთხვევაში ბენეფიციარის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას მიაწვდის სოფლის ამბულატორიას, მერიის სოციალურ სამსახურს, სოციალური მომსახურების სააგენტოს შემდეგი ღონისძიებების გასატარებლად. ასევე სოც. მუშაკის ძირითადი საქმიანობა იქნება ადვოკატირება, ბენეფიციარის ინტერესების დაცვა სოც-მუშაკის კომპეტენციის ფარგლებში (იმ ჯანდაცვის და სოციალური სიკეთეების მიღებაში დახმარება, რასაც ბენეფიციარს მისი სტატუსიდან გამომდინარე სთავაზობს ცელნტრალური, თუ ადგილობრივი ხელისუფლება).

დამლაგებელი - (დიასახლისი) დაულაგებს საცხოვრებელ ფართს, დაამუშავებს სადეზინფექციო საშუალებებით, სარეცხი მანქანის გამოყენებით გარეცხავს სარეცხს, დაამზადებს საჭმელს, საჭიროების შემთხვევაში ბენეფიციარს დაეხმარება დაბანვასა და პირადი ჰიგიენის მოწესრიგებაში.

მეეზოვე - ამზადებს შეშას, თიბავს ეზოს, საჭიროების შემთხვევაში შეაკეთებს ღობეს, ახდენს ეზოს მოწესრიგებას. საჭიროების შემთხვევაში ეხმარება ჯგუფის სხვა წევრებს.

გრაფიკის მიხედვით შერჩეულ ბენეფიციარსმომსახურება მიეწოდება. წინასწარ შექმნილი ინდივიდვალური გეგმის მიხედვით, რომელიც შემუშავდება მულტიდისციპლინური ჯგუფის მიერ. ინდივიდუალური იქნება კონკრეტული ბენეფიციარის საჭიროებებზე მორგებული.

გათვალისწინებული იქნება საჭიროებისამებრ სხვა და სხვა სამუშაოები, საოჯახო საქმეებში დახმარება, ჯანდაცვის სერვისის მიღება, ფსიქოლოგიური მხარდაჭერა, სოციალურ საკითხები, ზამთრისთვის მზადებაში დახმარება. თითო ბენეფიციარის ოჯახში მომსახურეობის დრო და სიხშირე განსაძღვრული იქნება ინდივიდუალური გეგმით.

შინ მომსახურების მიზანია ხანდაზმულთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება, ჰიგიენური პირობების მოწესრიგებით მათი ჯანმრთელობის გაუარესების პრევენცია და ღირსეული პირობების შექმნა.

- **აქტივობათა გეგმა/გრაფიკი**(გთხოვთ წარმოადგინოთ ცხრილის სახით);

საქმიანობა	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	**პასუხისმგებელი პირი**	**საქმიანობის წარმატებით დასრულების შემდეგ რა იქნება შედეგი/პროდუქტი**
მულტიდისციპლინარულიჯგუფისჩამოყალიბება													პროექტის კოორდინატორი, სენაკის მერიის სოციალური სამსახურის უფროსი	განსაზღვრულია მულტიდისციპლინარული ჯგუფის წევრები და მათი ფუნქციები
სატრანსპორტოსაშუალებისიჯარა და აღჭურვა													პროექტის კოორდინატორი,	მომსახურების მიწოდებისათვის მზად არის სპეციალურად აღჭურვილი სატრანსპორტი საშუალება
მომსახურებისმიწოდებისათვისსაჭირორესურსებისმობილიზება													პროექტის კოორდინატორი, ფინანსური მენეჯერი	მულტიდისიპლინარული ჯფუფი უზრუნველყოფილია საჭირო რესურსებითა და მასალით

მომსახურების მიწოდებისთვის მკაფიო სტანდარტების/კრიტერიუმების შემუშავება													პროექტის კოორდინატორი, სენაკის მერიის სოციალური სამსახურის უფროსი	წარმოდგენილია ბენეფიციართაშერჩევისათვის მკაფიო კრიტერიუმები
20 ბენეფიციარის სერვისით უზრუნველყოფა													პროექტის კოორდინატორი, სენაკის მერიის სოციალური სამსახურის უფროსი	შერჩეულია ბენეფიციარები და მულტიდისციპლინარული ჯგუფი აწვდის სერვისს
მონიტორინგი													პროექტის მენეჯერი	მიღებულია პროექტის კოორდინატორისა და ფინანსური მენეჯერისაგან ყოველთვიური ანგარიში. ანგარიშის მიხედვით ხდება შესრულებული საქმიანობის შემოწმება.

ინფორმაცია პროექტისთვის გამოყენებული რესურსის შესახებ:

- მომსახურების მიწოდების პროცესში გამოყენებული იყო განმახორციელებელი ორგანიზაციის (ასოციაცია „ჰანგი“) ადამიანური და მატერიალურ-ტექნიკური (პროექტის ფარგლებში შეძენილი) რესურსი.

- პროექტის ფარგლებში გამოყენებული ფინანსების წილობრივი მონაცემები გამოიყურება შემდეგნაირად.

საქართველოს არბაითერ სამარიტერ ბუნდი	სენაკის მ უნიციპალიტეტის მერია	შშმ პირთა ინტეგრაციისა და განვითარების ასოციაცია „ჰანგი“
74,81	21,85	3,35

8. მიღწეული შედეგი და დადებითი გავლენა:

(დეტალური, დოკუმენტირებული ინფორმაცია მიღწეული შედეგების შესახებ)

- პროექტმაუზრუნველყო 22 ბენეფიციარისათვის შინომსახურების მიწოდება, ზრუნვის სერვისის დანერგვის შედეგად ამ ადამიანების არ მოუწიათ სხვის ანაბარად ყოფნა ან თავშესაფრებში გადაყვანა და ისინი საკუთარ, ოჯახურ გარემოში აგრძელებენ ცხოვრებას.
- პროექტის შედეგების შეფასებისას გამოიკვეთა, რომ შემცირდა ხანდაზმული ბენეფიციარების დამოკიდებულება სხვებზე და შესაბამისად მათი სოციალური იზოლაცია.
- პროექტის მიმდინარეობის პარალელურად გაიზარდა ამ მომსახურების მიღების მსურველ პირთა რაოდენობა და მომართვიანობა.
- გაიზარდა ნდობა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუტების მიმართ,
- სენაკის მუნიციპალიტეტში აღნიშნული სერვისი დანერგილია და შემუშავებულია ხანდაზმულთა და განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა ბინაზე მომსახურების მოდული მუნიციპალიტეტის სპეციფიკიდან გამომდინარე.

9. მიღებული გამოცდილება და გაკეთებული დასკვნები:

(ამ ნაწილში მოცემული უნდა იყოს პროექტის განმახორციელებლის რჩევები და მოკლე გზამკვლევი იმათთვის, ვინც ეცდება აღნიშნული წარმატებული პრაქტიკა დანერგოს თავის მუნიციპალიეტეტში)

წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები:

- წარმატების განმსაზღვრელი მთავარი ფაქტორია საზოგადოებრივი ორგანიზაციისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ურთიერთნდობა და მჭიდრო თანამშრომლობა, საწყის ეტაპზე დონორის მხრიდან მხარდაჭერა. მობილური ჯგუფის სწორად შერჩევა და გადამზადება, რითაც შესაძლებელი გახდა ეფექტურად და სწორად ემუშავათ ბენეფიციარებთან.
- სექტორთაშორისმა თანამშრომლობამ შექმნა ის პლატფორმა, სადაც დაინტერესებული მხარეები ერთად განიხილავენ მუნიციპალიტეტის სოციალურ განვითარებაზე და საჭიროებებზე ორიენტირებულ საკითხებს.
- შესრულებული და მიმდინარე პროექტით დასაქმდა 4 ადამიანი და ეტაპობრივად იზრდება ბენეფიციართა რაოდენობა.

- პროექტის განხორციელება სენაკის მუნიციპალიტეტის მერიისთვის ახალი გამოწვევა და გამოცდილება იყო. წლების განავლობაში დაგროვილ ცოდნას ვუზიარებთ სხვა მუნიციპალიტეტებს და ვქმნით კარგი პრაქტიკის გავრცელების პრეცედენტებს.

ინფორმაცია პრატიკის/ინიციატივის მდგრადობის შესახებ

- პროექტის შედეგად მუნიციპალიტეტში სერვისის მიწოდების მიმართულებით მოხდა პოზიტიური ცვლილება, რაც გამოიხატება ახალი სერვისის დანერგვაში.
- მუნიციპალიტეტის ადგილობრივ ბიუჯეტში შევიდა ცვლილებები. 2020 წლის ბიუჯეტში პროექტის თანამონაწილეობის სახით გამოიყო 15000 ლარი, ხოლო 2021 წელს ოქტომბერ-ნოემბერ-დეკემბრის თვეებში (დონორის მხრიდან დაფინანსება დასრულდა სექტემბერში) მომსახურების უწყვეტობის უზრუნველსაყოფად გამოიყო 19347,00 ლარი.
- მოსახლეობის მხრიდან პროექტის მიმართ არის მხარდაჭერა, რაც გამოიხატება მათი უკუკავშირით პროექტის მიმდინარეობის აქტივობების ამსახველი ინფორმაციის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდებზე და სოციალურ ქსელებში.
- 2022 წელს მუნიციპალიტეტმა პროექტი დააფინანსა 77 400 ლარით(70%), ხოლო დანარჩენი დაფინანსდა სერვისის მომწოდებლის მიერ (30%).

10. საკრებულოს როლი:

- სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები და შესაბამისის კომისიები აქტიურად იყვნენ ჩართულნი პროექტის დაგეგმვის, განხორციელების და შედეგების შეფასების ყველა ეტაპზე და აქტიურად უჭერდნენ მხარს მუნციპალიტეტის მერიის მხრიდან ამ მიმართულებით ბიუჯეტში დაგეგმილ ცვლილებებს. აქტიურად დაუჭირეს მხარი საუკეთესო პრაქტიკის პროგრამის კონკურსში მონაწილეობისათვის პროექტის შერჩევის საკითხს;
- განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საკრებულოში არსებული ფრაქციების პოზიტიური დამოკიდებულება ამ პრაქტიკის მიმართ;

11. პრატიკასთან/ინიციატივასთან ან ამავე საკითხთანდაკავშირებული, სამომავლო გეგმების მოკლე მიმოხილვა;

მუნიციპალიტეტის მიზანია მიზნობრივისოციალური დახმარებისა და სხვა ფრაგმენტული პროგრამები ეტაპობრივად ჩაანაცვლოს პრევენციულმა სოციალური დაცვის სისტემამ, ეს აუცილებელია საზოგადოებაში სოციალური სამართლიანობის, თანასწორობისა და კონსტიტუციით აღიარებული პრინციპების განსამტკიცებლად.

მუნიციპალიტეტის მიზნობრივი სოციალური პროგრამები, მონაცემთა ბაზა და ადმინისტრირების მექანიზმი მყარ საფუძველს შექმნის სხვა პროგრამების დაშენებისათვის, სოციალური დაცვის უფრო ყოვლისმომცველი და ეფექტიანი სისტემის განვითარებაზე, რომელიც მოემსახურება რისკების შემცირებას, კერძოდ: ჯანმრთელობისა და სოციალური პრობლემების პრევენციასა და დაძლევას, თემზე დაფუძნებული პრევენციული და ოჯახის დამხმარე მომსახურებათა დანერგვას; გეოგრაფიული და ფინანსური ხელმისაწვდომობის ზრდას; შინმოვლის პროგრამის გაფართოებას, ასევე ზრდასრულ შშმ პირთა და ხანდაზმულთა პროგრამების დანერგვას, რაც უზრუნველყოფს ინსტიტუციონალიზაციის პრევენციას, მომსახურების მიმღებთა და მათი ოჯახის წევრების ცხოვრების ხარისხის შენაჩუნებას.

სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერითა და სოციალური ინკლუზიის მხარდამჭერი ორგანიზაციის „ხელი ხელს“ ინიციატივით სენაკის მუნიციპალიტეტში პირველი საოჯახო ტიპის საცხოვრისი გაიხსნა. სენაკის სამეგრელოს რეგიონში პირველი მუნიციპალიტეტის, სადაც ზრდასრულ შშმ პირთათვის მსგავსი სერვისი ხელმისაწვდომი გახდება, საოჯახო ტიპის სახლში 5 ადამიანი განთავსდება. ისინი დიდი ზომის ჩაკეტილი ინსტიტუციების ნაცვლად თავისუფალ გარემოში გააგრძელებენ ცხოვრებას. საოჯახო ტიპის საცხოვრისი მათ საშუალებას აძლევს არ გაატარონ მთელი ცხოვრება იზოლირებულ გარემოში, სადაც პიროვნული თავისუფლება შეზღუდულია. აქ კი მათი ყველა უფლება დაცული იქნება. ორგანიზაცია „ხელი ხელს“ სენაკის მერიის მხარდაჭერით მსგავსი ტიპის კიდევ ორი საცხოვრისის გახსნას გეგმავს.

12. საკონტაქტო ინფორმაცია:

- **ნატალია ხუბუა**-სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი; ტელ: 591 44 99 26; ელ.ფოსტა: nataliakhubua@gmail.com
- **რუსლან საჯაია**-შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინტეგრაციისა და განვითარების ასოციაციის დირექტორი; ტელ:593 35 37 02; ელ.ფოსტა: **haangi35@gmail.com**

13. თანდართულიდოკუმენტები

იხ.დანართი